ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4802145

ნომერი: AR1724098

თარიღი : 12.12.2019

გაცემის თარიღი : 24.12.2019

გაცნობის თარიღი : 25.12.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 13 (ნაკვ.01/061);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ბებია პ/ნ 42001010146
- ქ.თბილისი ჩიქობავას 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 25 სექტემბრის №4185952 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 12 დეკემბერს №AR1724098 განცხადებით მომართა ლევან ბებიამ და მოითხოვა სამსახურის 2018 წლის 25

სექტემბრის №4185952 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 აგვისტოს №4141931 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა ქინძმარაული №13 (ნაკვ.01/061), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.33.001.244), ფაბრიკის არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2018 წლის 25 სექტემბრის №4185952 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 25 სექტემბრიდან 2020 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2018 წლის 25 სექტემბრის № 4185952 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა, კერძოდ: ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 25 სექტემბრიდან 2020 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით'' ნაცვლად დაფიქსირდა ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 25 სექტემბრიდან 2019 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით''.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2018 წლის 06 სექტემბრის №AR1628517 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 24 თვეზე და სამსახურის 2018 წლის 25 სექტემბრის №4185952 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2020 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით, თუმცა ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად დაფიქსირდა არასწორად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2018 წლის 25 სექტემბრის № 4185952 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ლევან ბებიას 2019 წლის 12 დეკემბრის №AR1724098 განცხადება.
2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 25 სექტემბრის №4185952 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 25 სექტემბრიდან 2020 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით''
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 25 სექტემბრის №4185952 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2018 წლის 25 სექტემბრის №4185952 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.